საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. დეკემბრის 25. № 32 ტფილისი.

შინაარსი

სოციალური უზრუნველყოფა

196. წელთნამსახურობისათვის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა

196. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

წელთნამსახურობისათვის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამა დადგენილების წესისამებრ წელთნამსახურობისათვის სიკვდილამდე პენსიის მიღების უფლება აქვთ შემდეგ პირთ: ა) საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების საშტატო პროფესორებს და მასწავლებლებს; ბ) საქართველოს სსრ როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სამეცნიერო დაწესებულებების ნამდვილ წევრებს და სამეცნიერო თანამშრომლებს უფროს და უმცროსთ).

2. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი პირნი წელთნამსახურობისათვის პენსიით უზრუნველყოფის უფლებას მიიღებენ იმის შემდეგ, რაც მათ იმუშავეს როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო მომუშავეებმა არა ნაკლებ 25 წლისა, აქედან საბჭოთა ხელისუფლების დროს არა ნაკლებ 10 წლისა, ან მიაღწიეს 60 წლის ასაკს და იმსახურეს სათანადო სასწავლებლებში თუ სამეცნიერო დაწესებულებებში არა ნაკლებ 10 წლისა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამასთანავე, სამეცნიერო-სასწავლო მოღვაწეობის საერთო ვადაში ჩაითვლება სამეცნიერო თანამშრომლად მუშაობა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებში—ამ ინსტიტუტში ჩარიცხვის დღიდან, ან უმაღლეს სასწავლებელთან თუ სამეცნიერო დაწესებულებასთან დატოვების დღიდან.

1-ლი მუხლის „ბ" პუნქტში აღნიშნულ ერთ-ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში შტატგარეშე მყოფი სამეცნიერო მომუშავის (უჯამაგიროს) მუშაობის დრო ჩაითვლება პენსიის მოპოებისათვის საჭირო სამსახურის ვადაში იმის შემდეგ, რაც ამ პირმა იმუშავა არა ნაკლებ 10 წლისა საშტატო სამეცნიერო თანამდებობაზე საბჭოთა ხელისუფლების დროს.

3. პენსიის უფლების გამორკვევის დროს ჩაითვლება რევოლუციამდე სამსახური და მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში, აგრეთვე პედაგოგიური მუშაობა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საშუალო სასწავლებლებსა და სკოლებში, იმ სასწავლებლების გამოკლებით, რომლებიც დაკავშირებულ იყვნენ რელიგიურ კულტთან, და აგრეთვე კადეტთა და პაჟთა კორპუსებისა, საიუნკრო და სამხედრო სასწავლებლებისა, ლიცეებისა და სამართალმცოდნეობის (правоведение) სასწავლებლებისა.

4. სამეცნიერო მეცადინეობის ან პედაგოგიური საქმიანობის შეწყვეტა, რაც ერთობილად სამ წელიწადს არ აღემატება, ან სამ წელიწადზე მეტი ხნით, შეწყვეტა, რაც გამოწვეული იყო არმიაში მობილიზაციით 1914-1918 წლებში-არა წყვეტს მე-2 მუხლით დადგენილ სტაჟის დენას, მაგრამ ამ სტაჟში ა რ თვლება, ხოლო სამ წელიწადზე მეტი ხნით შეწყვეტა წყვეტს სტაჟის დენას.

1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთა მოღვაწეობის სტაჟში ჩაითვლება შემდეგი შეწყვეტა: ა) წითელი არმიისა და ფლოტის რიგებში გატარებული სამხედრო სამსახურის დრო; ბ) 1921 წლის თებერვლის 25-ის შემდეგ საბჭოთა დაწესებულებებში, საზოგადოებრივ და საპროფკავშირო ორგანიზაციებში საარჩევნო თანამდებობაზე ყოფნის დრო; გ) რევოლუციამდე პოლიტიკური დანაშაულისათვის საპყრობილესა თუ ციხეში, კატორღასა თუ გადასახლებაში გატარებული დრო, აგრეთვე რევოლუციამდე მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის სამეცნიერო და სამასწავლებლო საქმიანობიდან გადაყენების დრო (სხვა საძუშაოზე შესვლამდე); დ) ის დრო, რომლის განმავლობაშიაც ეძლევათ დახმარება დროებითი შრომაუუნარობისა და უმუშევრობისათვის; ე) კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სამეცნიერო მივლინებაში გატარებული დრო.

5. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ პირთ მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პირობებში პენსია ეძლევათ სიკვდილამდე იმ სამუშაო ხელფასის რაოდენობით, რასაც ისინი იღებდენ უკანასკნელ თანამდებობაზე პენსიის უფლების წარმოშობის დღისთვის, ანდა სამსახურის ფაქტიურად დატოვების დღისთვის, უკეთუ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მათი სამუშაო ხელფასი უფრო მეტი იყო; ამასთანავე, პენსიის რაოდენობა 500 მან. არ უნდა აღემატებოდეს.

იმ პირს, რომელიც იღებს პენსიას ამა დებულების თანახმად და რომელიც განაგრძობს მუშაობას თავის სპეციალობაში, იძის შემდეგ, რაც მან იმუშავა სათანადო სასწავლებელში ან სამეცნიერო დაწესებულებაში არა ნაკლებ ორი წლისა პენსიის დანიშვნის დღიდან, ეს პენსია მიეკეცა მისი ახალი სამუშაო ხელფასის საშუალო განაკვეთის რაოდენობით, რასაც იგი იღებს ამ თანამდებობაზე უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში. ახალი პენსია ყოველ შემთხვევაში ნაკლები არ უნდა იყოს პირველად გამოანგარიშებულ პენსიაზე.

უკეთუ წინა აბზაცში აღნიშნული პირი შრომაუუნარობის გამო თავს დაანებებს თავის სამუშაოს სასწავლებელსა ან სამეცნიერო დაწესებულებაში, მას უფლება აქვს პენსიის გადიდებაზე, თავისი მუშაობის იმ სტაჟის მიუხედავად, რაც პენსიაზე ჩარიცხვის მეძდეგაა გასული.

6. უკეთუ 1-ლ მუხლში აღნიშნული პირი შრომაუნარიანობას დაკარგავს 60 წლის ასაკის მიღწევამდე და უკეთუ მან იმსახურა იძავე მუხლით გათვალისწინებულ სათანადო თანამდებობაზე არა ნაკლებ 15 წლისა, აქედან საბჭოთა ხელისუფლების დროს არა ნაკლებ 10 წლისა, ძას უფლება აქვს ძიიღოს პენსია ნახევარი განაკვეთის რაოდენობით, ხოლო 20 წელზე არა ნაკლებ ნამსახურსა იძავე პირობებში—მთელი განაკვეთის რაოდენობით.

7. შრომაუნარიანობის დაკარგვა სამეცნიერო თუ სასამსახურო მოვალეობის ასრულების დროს ან ამ მოვალეობის ასრულებასთან დაკავშირებით უფლებას აძლევს 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ სამეცნიერო მომუშავეთ მიიღონ პენსია უკანასკნელი თანამდებობის მთელი სამუშაო ხელფასის რაოდენობით, მათი მუშაობისა და სამასწავლებლო მოღვაწეობის სტაჟის მიუხედავად.

8. 1-ლ მუხლში აღნიშნული პირის გარდაცვალების ან უგზო-უკვლოდ დაკა შეძთხვევაში, იმ პენსიის უფლება, რომელსაც ის იღებდა ან მას უფლება ეძონდა მიეღო, ეძლევა მისი ოჯახის შეძდეგ წევრთ, რომელნიც მის რჩენაზე იყვნენ და რომელთაც არსებობისათვის საკმარისი სახსარი არა აქვთ: ა) 18 წლის ასაკს მიუღწეველ შვილებს (ძოსწავლე შვილებს, პერსონალური პენსიების დამნიძვნელი კომისიის განსაკუთრებული დადგენილებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში შეიძლება განეგრძოთ პენსიის მიცემა), აგრეთვე შრომაუუნარო (ინვალიდობის პირველი სამი ჯგუფის ინვალიდები) შვილებს, ძმებს და დებს, უკეთუ მათ შრომაუნარიანობა დაკარგეს 18 წლამდე; ბ) შრომაუუნარო (ინვალიდობის პირველი სამი ჯგუფის ინვალიდები) მშობლებს და მეუღლეს ან იმ ძშობლებს და მეუღლეს, როძელთაც მიაღწიეს: მამაკაცმა—60 წლის ასაკს, ხოლო ქალმა—55 წლის ასაკს; გ) ამა მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ პირთაგან იმათ, ვინც თუძცა შრომაუნარიანია, მაგრამ უვლის გარდაცვალებულის და უგზო-უკლოდ დაკარგულის შვილებს, ძმებს და დებს, რომელთაც 8 წლის ასაკამდე არ მიღწევიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. შრომაუუნარო მეუღლეს პენსია ეძლევა სრული პენსიის განაკვეთის (მუხ. 5 და 6) ნახევარი რაოდენობით, ხოლო მე-8 მუხლში ჩამოთვლილ დანარჩენ პირთ პენსიის განაკვეთის ერთი მეოთხედი რაოდენობით; ამასთანავე, ოჯახის ყველა წევრის პენსიის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს პენსიის სრულ განაკვეთს. მეუღლეს და მშობლებს, აგრეთვე შვილებს და ძებს, რომელნიც გაინვალიდდნენ 18 წლამდე (მე-8 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტები), პენსია ეძლევათ სიკვდილამდე. პენსია გაიცემა დღიდან პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადების შეტანისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ პერსონალური პენსიების დამნიშვნელ კომისიაში.

ამა მუხლით დადგენილი პენსია ეძლევათ ოჯახის წევრებს მარჩენალის გარდაცვალებისას და მე-6 და 7 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10. ამა დადგენილებით გათვალისწინებული პენსიების გასაცემად საჭირო ხარჯი გაიღება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით: ა) 50%—სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრიდან; ბ) ხოლო 50%—სოციალური დაზღვევის სახსრიდან, რაც საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში შედის.

11. წელთნამსახურობისათვის პენსიის მიღების უფლება არა აქვთ: ა) სასამართლოს განაჩენით საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთ; ბ) იმ პირთ, ვინც გადასახლებულ ან განდევნილ იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს, და იმ პირთ, ვისაც სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა პენსიის უფლების ჩამორთმევა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 31 მუხლში გათვალისწინებული შემთხვევებში; გ) იმ პირთ, რომელთაც თუმცა კონსტიტუციით საარჩევნო უფლება ჩამორთმეული არა აქვთ, ან რომელთაც ეს უფლება აღედგინათ, მაგრამ რომელთა წარსული მოქმედებაც მიმართული იყო მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ (საღვთისმეტყველო დისციპლინების და რელიგიური მოძღვრების მასწავლებელნი, რელიგიურ კულტთან დაკავშირებულ დაწესებულებებში, სამხედრო-სასამართლო დაწესებულებებში და აგრეთვე მეფის დროის სხვა ცენტრალურ უწყებებში მომუშავენი, უკეთუ მათი საქმიანობა იქ მიმართული იყო მუშათა და გლეხთა ინტერესების საზიანოდ); დ) იმ პოლიტიკური პარტიების წევრთ, რომლებიც თავიანთ მიზნად ისახავდენ მეფის ძალაუფლების აქტიურად დაცვას; ე) იმ პირთა ოჯახის წევრებს, რომელთაც ჩამორთმეული ჰქონდათ პენსიის უფლება ამა მუხლის „ა"—„დ" პუნქტებში აღნიშნულ საფუძველზე.

12. მე-11 მუხლის „ბ" პუნქტში აღნიშნულ პირთ სასჯელის მოხდისას და უფლებათა აყრის ვადის გასვლისას შეუძლიათ ითხოვონ პენსიის დანიშვნა ან აღდგენა მე-16 მუხლით დადგენილ წესისამებრ.

13. 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთ, რომელნიც განაგრძობენ მუშაობას თავიანთ სპეციალობაში, შეუძლიათ მიიღონ პენსია დადგენილი რაოდენობით იმის მიუხედავად, თუ რა სამუშაო ხელფასი აქვთ თავიანთ სპეციალობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო, უკეთუ ისინი შევლენ არა თავიანთი სპეციალობის სამუშაოზე, პენსია სამუშაო ხელფასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს 750 მან. თვეში.

უკეთუ პენსია სამუშაო ხელფასთან ერთად ზემოაღნიშნულ ზღვრულ რაოდენობას აღემატება, პენსიონერის სამსახურში ყოფნის დროს პენსია სათანადოდ შემცირდება.

14. პენსიონერი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ პერსონალური პენსიების დამნიშვნელ კომისიას ყოველი შემთხვევა, როდესაც მისი სამუშაო ხელფასი ზღვრულ რაოდენობას აღემატება.

15. უკეთუ ერთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში პენსია მოთხოვნილ არ იქნა, იგი გაიცემა მხოლოდ უკანასკნელი 12 თვისათვის.

16. თხოვნა ამა დადგენილებით გათვალისწინებულ პირთათვის პენსიის დანიშვნის შესახებ აღძრულ უნდა იქნას სათანადო სახალხო კომისარიატის მეშვეობით და ამ თხოვნას განიხილავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული პერსონალური პენსიების დამნიშვნელი კომისია.

პერსონალური პენსიების დამნიშვნელი კომისიის დადგენილება ძალაში შედის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

17. 1-ლ მუხლში აღნიშნულთა შორის იმ პირთათვის, რომელნიც უკვე იღებენ პენსიას წელთნამსახურობისათვის, ამ პენსიის რაოდენობა, ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისას, შეცვლილ არ უნდა იქნას.

18. ამა დადგენილების გამოცემისთანავე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 17-ის დადგენილება „უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო დარგში მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-9 №-ი, მუხ. 70) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ნოემბრის 20. № 173/1589.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 63. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1/2 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 3/XII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XII; ტირაჟი 2.100.

მოავლ. რწმ. № 870118 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკ. № 1129